

კოლხეთის დაბლობის მდინარეების (რიონი, სუფსა, ნატანები) შესართავებში წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რისკების შეფასება

ვაჟა ტრაპაიძე¹, დავით კერესელიძე¹, კახაბერ ბილაშვილი¹

ელ.ფოსტა: vazha.trapaidze@tsu.ge

¹გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 0179, ი.ჭავჭავაძის #3

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონა მოიცავს 330 კმ-იან მონაკვეთს, რომელსაც 150-ზე მეტი დიდი, საშუალო და პატარა მდინარე უერთდება. ევსტაზიური და გეოლოგიური პროცესების ერთობლივი შედეგების მიხედვით საქართველოს სანაპირო ზონა იყოფა სამ ძირითად ნაწილად, რომელთაგან ცენტრალური, მდინარე ენგურსა და ნატანებს შორის მოქცეული მონაკვეთი ყველაზე სწრაფად იძირება, ხოლო თვით ცენტრალურ უბანში ფოთი-სუფსის სანაპირო გამოირჩევა ჩაძირვის სისწრაფით 4,0–5,6 მმ წელიწადში. ევსტაზიური პროცესების გააქტიურებას მოყვება პლიაჟების ჩარეცხვა-დეგრადციის პროცესები, სანაპირო ზოლის დატბორვა, ეროზია და სანაპირო ზოლის გადანაცვლება ხმელეთის სიღრმეში კლიმატის ცვლილების ფონზე ძლიერდება სტიქიური მოვლენების (შტორმების და წყალდიდობა-წყალმოვარდნების) სიხშირე და სიმძაფრე. ეს პროცესები განსაკუთრებით მწვავეა იმ კოლხეთის დაბლობის მდინარეთა ზღვიური შესართავის იმ უბნებში სადაც შტორმებისა და წყალდიდობის პერიოდები ერთმანეთს ემთხვევა.

განხილულია კოლხეთის დაბლობის ზოგიერთი მდინარის (რიონი,სუფსა ნატანები) შესართავში წყლის მაქსიმალური ხარჯისა და შტორმული მოვლენების თანხვედრის პერიოდები და მისი გავლენა სანაპირო ეროზიებზე. წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების დინამიკის დასადგენად შეფასებულია ორმოცწლიანი დაკვირვებული პერიოდის ცალკეული თვეების ტრენდის კორელაციის კოეფიციენტები წყლის მაქსიმალურ ხარჯსა და მის რიგით ნომერს შორის.